ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 16 09 2019 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 327-ნ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 -2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N 111/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N 14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის ლევან ჯიქიას 2019 წლის 16 სექტემბრის N1/2610 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 70 ვაკანტურ ადგილზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათალებლო პროგრამაზე მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს მასწვალებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირების მსურველ აპლიკანტთა მიერ რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. განისაზღვროს მასწვალებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების (გასაუბრების) კომისია და შემფასებლები დანართი N4-ის შესაბამისად.

5. დევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში
მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის მოდულები

(ვაკანტური ადგილების რაოდენობა - 70)

მიღება ცხადდება შემდეგ მოდულებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური);
2. მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);
3. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური);
4. ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);
5. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
6. ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური);
7. ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური).

შენიშვნა: *ა) პროგრამაზე ჩარიცხული 50 პირი ისარგებლებს სრული სახელმწიფო დაფინანსებით;*

ბ) დამატებით 20 ადგილზე თვითდაფინანსებით ჩარიცხულნი ისარგებლებენ ქართული უნივერსიტეტის 20%-იანი თანადაფინანსებით.

გ) გამოცხადებული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ მოცემულ მოდულზე იქნება არანაკლებ 2-ის.

პროგრამაზე მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. აპლიკანტების რეგისტრაცია - **2019 წლის 17 - 21 სექტემბერი**;
2. გამოცდა/გასაუბრება - 2019 წლის **24 -25 სექტემბერი**;
3. გამოცდის/გასაუბრების შედეგების გაცნობა აპლიკანტებისთვის, რანჟირების დოკუმენტის გამოცემა და ხელშეკრულების გაფორმება ჩასარიცხ პირებთან -2019 წლის **26 სექტემბერი - 3 ოქტომბერი;**
4. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2019 წლის **4 ოქტომბერი.**

პროგრამაზე დარეგისტრირების მსურველ აპლიკანტთა მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დანართის ასლი;
3. შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) - ასლი;
6. ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD დისკზე;
7. აპლიკანტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).

პროგრამაზე მისაღები გამოცდების (გასაუბრების) კომისია

1. ***ზურაბ ბერაია*** - ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ***ლევან ჯიქია*** - ისტორიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი, მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. ***მარინე კუხალაშვილი*** - ფილოლოგიის დოქტორი, კმოწვეული სპეციალისტი (კომისიის მდივანი).